ოქმი:**ო63.6321267001**
თარიღი:**24/09/2021**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 46

ქ. სამტრედია. 21 სექტემბერი, 2021 წელი.

2021 წლის 21 სექტემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, კობა ძიძიგური, მანანა სირბილაძე, შალვა არზუმანიანი, ბადრი შენგელია, მერაბ უღრელიძე, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, რაჟდენ ტორონჯაძე, კამო კანდელაკი (მ/შ), ბაია იმესაშვილი (მ/შ).

დღის წესრიგი

1. მუნიციპალიტეტის საკრებულოში მერიიდან შემოსული წერილობითი მომართვების განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ნუგზარ ჯამბურია/

2. სხვადასხვა

კენჭისყრის შედეგად, (11 ხმით) მიღებულია დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

1. 2021 წლის 20 სექტემბრის N62-622126385, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2021 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 18 დეკემბრის N 38 178 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი პროექტის განხილვის საკითხს.

(საკრებულოს რეგისტრაციის N **12-63212642-63 , 21.09.2021** წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო -საბიუჯეტო და შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია.

2. ***2021 წლის 20 სექტემბრის*** N62-622126350, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის წერილობთი მომართვა, რომელიც ეხება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის, 2021 წლის ბიუჯეტის გეგმაში მუხლობრივ ცვლილების პროექტის განხილვის საკითხს.

(საკრებულოს რეგისტრაციის N **12-63212637-63,** 20.09.2021 წ.)

კენჭისყრის შედეგად, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, ძირითად განმხილველ კომისიად განისაზღვრა საფინანსო -საბიუჯეტო საკითხთა კომისია.

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: ირმა გოგია.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი